



საქმე №2ბ/777-10

თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

18 ნოემბერი, 2010 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:
ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
ლილი ტყემალაძე
მანუჩარ კაპანაძე

სხდომის მდივანი: ციცილო როხვაძე

განმცხადებელი – გაგიკ მელიქიანი.

წარმომადგენელი – ოთარ კაჭკაჭაშვილი.

მოწინააღმდეგე მხარე – დავით ფალიანი, ჯულიეტა ბაიდოშვილი, მანანა ჯიქია, სვეტლანა გასპარიანი, ნოტარიუსი ლალი რობაქიძე.

დ. ფალიანის წარმომადგენელი – მაია ჭრელაშვილი.

განმცხადებლის მოთხოვნა – დაკარგული საქმის აღდგენა, გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება.

საქმის გარემოებებზე და მათთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

2010 წლის 09 მარტს გაგიკ მელიქიანმა განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატას, რომელშიაც მიუთითა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში 2004 წლის 11 აგვისტოს სარჩელი აღძრა სვეტლანა ბაიდოშვილის, დავით ფალიანის, ჯულიეტა ბაიდოშვილის, და სხვათა მიმართ ხელშეკრულებების, მინდობილობების ბათილად ცნობისა და ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით. მანამდე კი სარჩელის

აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა გ. მელიქიანის განცხადება და ყადაღა დაედო მანანა ჯიქიას საკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებას მდებარეს: თბილისი ჩუბინიძის ქ. 10.

2004 წლის 24 ნოემბერს სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, გაუქმდა გაყალბებული მინდობილობები, თუმცა ნასყიდობის და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილობის ნაწილში გაგიკ მელიქიანს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იპოთეკარებისა და ბინის შემძენის კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.

სასამართლომ მინდობილობების სავარაუდოდ გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება გაუგზავნა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას, რომლის საფუძველზეც აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში ს. გასპარიანი მხილებული იქნა სხვა დანაშაულებრივ ქმედებებშიც, ენოქ მელიქიანის ქონების თაღლითურად მითვისების ფაქტზე კი ს. გასპარიანთან ერთად თანამონაწილეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა სადავო ბინის შემძენის მანანა ჯიქიას დედა, მერი ჯიქია.

23.12.2004წ. გაგიკ მელიქიანმა საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების, კერძოდ იპოთეკის და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მნოთხოვნით. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 24 თებერვალს მიღებული, დღეისათვის ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 19 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, კი დავით ფალიანის და ჯულიეტა ბაიდოშვილის, როგორც იპოთეკაზე სანივთო უფლების კეთილსინდისიერი შემძენის პრინციპიდან გამომდინარე, გ. მელიქიანს კვლავ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ხსენებული გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ იპოთეკის გაუქმების ნაწილში გასაჩივრებული იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაზედაც 2005 წლის 28 აპრილის განჩინებით კასატორს დაუდგინდა ხარვეზი, რომელიც არ შევსებულა, შესაბამისად ძალაში დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაზე 2005 წლის 24 ოქტომბერს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, თუმცა გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც სააღსრულებო ფურცელში დაშვებული იქნა აშკარა უსწორობა, კერძოდ: „ჩუბინიძის“ ნაცვლად მითითებული იქნა „ჩუბინიშვილი“.

2008 წლის 22 იანვარს გ. მელიქიანმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაწყვეტილებაში დაშვებული არითმეტიკული შესწორების თაობაზე, თუმცა შესწორება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში სამოქალაქო

საქმე გათხოვილი იქნა წინასწარ გამოძიებაში, რომელიც პოლიციის სამმართველოს მუშაკების მიერ სამსახურებრივი გულგრილობის გამო დაკარგულია, აღნიშნულზეც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 24 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების აღდგენა (შესწორებული ფორმით „ჩუბინიშვილის“ ნაცვლად „ჩუბინიძე“).

მოწინააღმდეგე მხარის, დავით ფალიანის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა გ. მელიქიანის განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენისა და უსწორობის გასწორების შესახებ.

მოწინააღმდეგე მხარემ, სვეტლანა გასპარიანმა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელში დაადასტურა განცხადებაში მითითებული გარემოებები და ცნო გ. მელიქიანის განცხადება დაკარგული საქმის აღდგენისა და გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ (ს.ფ.129-130).

სააპელაციო პალატა საქმეზე შეკრებილი მასალების, მხარეთა განმარტებების, მოწმედ დაკითხულ პირთ ჩვენებების საფუძველზე თვლის, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹-ე მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოება შეიძლება აღდგენილ იქნეს მხარეთა განცხადებით. ამავე კოდექსის 351⁴-ე მუხლის თანახმად: 1. განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო განიხილავს მხარეთა დასწრებით, თუმცა ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვევს პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს ასევე გამოითხოვოს ინფორმაცია სათანადო ორგანოებისაგან; 2. საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო პროცესის დარჩენილი მასალებით, ასევე მხარეთა მოთხოვნებით ან სხვა პირთა დოკუმენტებით, რომლებიც მათ გადაეცათ სასამართლო პროცესის მასალების დაკარგვამდე, აგრეთვე იმ დოკუმენტებისა და მასალების დამოწმებული ასლებით, რომლებიც საქმეს შეეხება. საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სასამართლოს განსახილველად წარუდგინონ მათ მიერ მომზადებული იმ გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც უნდა განახლდეს; 3. სასამართლოს უფლება აქვს მოწმეებად დაკითხოს პირები, რომლებიც ესწრებოდნენ საპროცესო მოქმედებების შესრულებას, და, საჭიროების შემთხვევაში, ის პირებიც, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას, როცა იხილებოდა ის საქმე, რომლის მასალებიც დაიკარგა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351⁵-ე მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო იღებს განჩინებას, რომელშიც უნდა მიეთითოს იმ გადაწყვეტილების ან განჩინების შინაარსი, რომლითაც

დაკარგული საქმის წარმოება იყო დამთავრებული. განჩინებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა დაკარგული საქმის წარმოების დროს. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საქმის მასალებით სააპელაციო პალატას დადგენილად მიაჩნია შემდეგი:

– 15.07.2004წ. გაგიკ მელიქიანის წარმომადგენელმა, ზაზა ჯაფარიძემ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების, სვეტლანა გასპარიანის, მანანა ჯიქიას, ჯულიეტა ბაიდოშვილისა და დავით ფალიანის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა სსსკ-ის 192-ე, 194-ე მუხლების შესაბამისად, ყადაღის დადება მანანა ჯიქიას სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე, თბილისში, ჩუბინიძის ქ. №10-ში (ს.ფ.16-17).

– თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 15.07.2004წ. განჩინებით გ. მელიქიანის წარმომადგენლის, ზ. ჯაფარიძის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო მანანა ჯიქიას სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს მდებარეს თბილისში, ჩუბინიძის ქ. №10. აღნიშნული დასტურდება სასამართლოს კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული განჩინების ასლით (ს.ფ.18-19).

– თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 25.02.2004წ. განჩინებით განუხილველად დარჩა ჯულიეტა ბაიდოშვილისა და დავით ფალიანის კერძო საჩივარი ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 16.07.2004წ. განჩინებაზე (სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მანანა ჯიქიას სახელზე რიცხულ ბინაზე ყადაღის დადების თაობაზე. (ს.ფ.67-68). აღნიშნული განჩინება შესაბამისი მიმართვით 15.03.2005წ. გაეგზავნა გაგიკ მელიქიანის წარმომადგენელს, ზაზა ჯაფარიძეს, რაც დასტურდება საქმეში არსებული მიმართვის დელონით (ს.ფ.66).

– მოწმის სახით დაკითხული ზაზა ჯაფარიძის განმარტებიდან ირკვევა, რომ იგი წარმოადგენდა გაგიკ მელიქიანს დაკარგული საქმის განხილვის დროს. მანვე შეადგინა და წარადგინა სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება და შემდგომ, სარჩელი (18.11.2010წ. სხდ. ოქმი). საქმეში წარმოდგენილია გაგიკ მელიქიანის წარმომადგენლის, ზ. ჯაფარიძის მიერ 11.08.2004წ. აღძრული სარჩელის დაუდგენელი ასლი, მოპასუხეების სვეტლანა გასპარიანის, მანანა ჯიქიას, ჯულიეტა ბაიდოშვილის, დავით ფალიანის, ნოტარიუს ე. ფირცხალავას, მესამე პირის ნოტარიუს ლ. რობაქიძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. 2001 წლის 4 აპრილს ნოტარიუს მ. ბოკუჩავას მიერ დამოწმებული მინდობილობის (რეესტრის №841), 2. 2003 წლის 19 ივნისს ნოტარიუს ე. ფირცხალავას მიერ დამოწმებული მინდობილობის (რეესტრი №1-2257), 3. 2003 წლის 19 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების (რეესტრის №-3514), დამოწმებული ნოტარიუს ლ. რობაქიძის მიერ, 4. 2003 წლის 30 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულების (რეესტრის №1-15406) დამოწმებული ნოტარიუს ე. შიხიაშვილის მიერ, ბათილად ცნობა და 5. ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ქონების, მ. ჯიქიას საკუთრებიდან გამოთხოვა (ს.ფ.10-12).

– თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 24.11.2004წ. განჩინებით ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას ეცნობა 2001 წლის 4 აპრილს №841 რეესტრით დამოწმებული მინდობილობისა და 2003 წლის 19 ივნისს №1-2557 რეესტრით დამოწმებული მინდობილობის გაყალბების შესახებ და გადაეგზავნა საქმის მასალები ნოტარიუს ევგენი ფირცხალავას, ნოტარიუს მ. ბოკუჩავას და მოქალაქე სვეტლანა გასპარიანის მიერ შესაძლო სიყალბის ჩადენასთან დაკავშირებით სათანადო რეაგირებისათვის (ს.ფ.69).

– თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 24.11.2004წ. გადაწყვეტილებით გაგიკ მელიქიანის წარმომადგენლის – ზაზა ჯაფარიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ევგენი ფირცხალავას მიერ 2003 წლის 19 ივნისს დამოწმებული მინდობილობა (რეესტრი №1-2257), ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 4 აპრილს მ. ბოკუჩავას მიერ დამოწმებული მინდობილობა (რეესტრი №841); ნოტარიუს ლ. რობაქიძის მიერ 2003 წლის 19 ნოემბერს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე (რეესტრი №1-3514) და ნოტარიუს ე. შიხიაშვილის მიერ 2003 წლის 30 დეკემბერს დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე (რეესტრი №1-15406) მოსარჩელეს უარი ეთქვა. ასევე უარი ეთქვა ჩუბინიძის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ქონების მანანა ჯიქიას საკუთრებიდან გამოთხოვაზე და აღნიშნული ბინა დარჩა კვლავ მანანა ჯიქიას საკუთრებაში. მხარეებს განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი. საქმეში წარმოდგენილია მოსამართლის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილების ასლი (ს.ფ.13-15), საქმეში ასევე მოიპოვება ზ. ჯაფარიძის 1.XII.04წ. განცხადება სასამართლო სხდომის ოქმის გადაცემის თაობაზე და 2004 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმის ასლი (ს.ფ.70, 71-81).

– სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული პირების, ზაზა ჯაფარიძისა და მანანა კაჭარავას (გ. მელიქიანის წარმომადგენლები დაკარგული საქმის წარმოების დროს) ჩვენებით, ასევე სააპელაციო საჩივრის ასლით, რაც დაუმოწმებელი სახით არის წარმოდგენილი (ს.ფ.20-23), ირკვევა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება გ. მელიქიანმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება 2003 წლის 19 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების, 2003 წლის 30 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და უძრავი ქონების გამოთხოვაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

– საქმეში წარმოდგენილია თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართვა გაგიკ მელიქიანისადმი, 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების გაგზავნის თაობაზე (ს.ფ.24), ასევე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის №28/6125-04 გადაწყვეტილების ასლი (ს.ფ.25-30, 52-62), რომლითაც ირკვევა, რომ გაგიკ მელიქიანის რწმუნებულ ზაზა ჯაფარიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება 2003 წლის 19 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის და ჩუბინიშვილის ქუჩა №10-ში მდებარე ბინის კვლავ მანანა ჯიქიას საკუთრებაში დატოვების ნაწილში

და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. მელიქიანის წარმომადგენელ ზ. ჯაფარიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ლ. რობაქიძის მიერ 2003 წლის 19 ნოემბერს დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება; მანანა ჯიქიას დაეკისრა ზ. ჯაფარიძის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიში 265 ლარის გადახდა. განიმარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგი წესი: გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან თოთხმეტი დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 28 აპრილის №ას-484-813-05 ხარვეზის შესახებ განჩინების დამოწმებული ასლით დასტურდება, რომ გაგიკ მელიქიანის წარმომადგენელს, ადვოკატ ზაზა ჯაფარიძეს დაევალა საკასაციო საჩივრის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დოკუმენტის წარდგენა (ს.ფ.48).

– მოწმის სახით დაკითხულ პირთა განმარტების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი მათ მიერ შევსებული არ ყოფილა, რის გამოც საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. საქმეში ასევე წარმოდგენილია თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაცემული 2005 წლის 26 ოქტომბრის №2ბ/150-05წ. საღსრულებო ფურცლის ასლი, რომელშიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღად მითითებულია 2005 წლის 04 ივლისი (ს.ფ.31). გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის იმავე თარიღზე მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.03.2006წ. განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა გაგიკ მელიქიანის წარმომადგენლის, ზაზა ჯაფარიძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და ყადაღა მოეხსნა მანანა ჯიქიას სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს, მდებარეს, ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქ. №10-ში (ს.ფ.52-54, 176-178).

– ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის, დ. კუტალაძის წერილით (ს.ფ.88), ასევე პროკურატურიდან გამოთხოვილი №004098106 საქმის მასალების ასლებით დასტურდება გაგიკ მელიქიანის №2/1304-04 სამოქალაქო საქმის დაკარგვის ფაქტი და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის წარმოება (ს.ფ.153-263).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა თვლის, რომ არსებობს №2ბ/6125-04 დაკარგულ სამოქალაქო საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების აღდგენის წინაპირობები, რის გამოც გაგიკ მელიქიანის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო პალატას ასევე საფუძვლიანად მიაჩნია თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005

წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ განცხადება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სსსკ-ის 260-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით, ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ჩუბინიძის ქ. №10-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ამავე ქონების მანანა ჯიქიას საკუთრებიდან გამოთხოვა, აღნიშნულზე მიუთითებს სარჩელი, სააპელაციო საჩივარი, პირველი ინსტანციის სასამართლოსა და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოს განჩინებები. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ გაუქმდა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ 2003 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში), სარეზოლუციო ნაწილში სადავო ქონების მისამართად არასწორად მიეთითა ჩუბინიშვილის ქ. №10, ნაცვლად რეალურად არსებული მისამართისა, ჩუბინიძის ქ. №10-სა. აღნიშნული, წარმოადგენს მექანიკურ უსწორობას, რაც უნდა გასწორდეს.

ამრიგად, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 260-ე, 351¹-ე, 351²-ე, 351³-ე, 351⁴-ე, 351⁵-ე, 414-416-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გაგიკ მელიქიანის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. აღდგენილ იქნეს №28/6125-04 სამოქალაქო საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება შემდეგი სახით:

გაგიკ მელიქიანის რწმუნებულ ზაზა ჯაფარიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება 2003 წლის 19 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის და ჩუბინიშვილის ქუჩა №10-ში მდებარე ბინის კვლავ მანანა ჯიქიას საკუთრებაში დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

გ. მელიქიანის წარმომადგენელ ზ. ჯაფარიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუს ლ. რობაქიძის მიერ 2003 წლის 19 ნოემბერს დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

მანანა ჯიქიას დაეკისროს ზ. ჯაფარიძის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიში 265 ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან თოთხმეტი დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

3. გასწორდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის №2ბ/6125-04 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად მასში აღნიშნული სიტყვებისა – “ჩუბინიშვილის ქუჩა №10-ში მდებარე ბინის კვლავ მანანა ჯიქიას საკუთრებაში დატოვების ნაწილში“ – მიეთითოს სიტყვები “ჩუბინიძის ქუჩა №10-ში მდებარე ბინის კვლავ მანანა ჯიქიას საკუთრებაში დატოვების ნაწილში“.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის წარდგენა საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი 7ა) მეშვეობით, განჩინების ასლის გადაცემიდან 12 დღის განმავლობაში.

თავმჯდომარე:

ქეთევან კუჭავა

მოსამართლეები:

ლილი ტყემალაძე

მანუჩარ კაპანაძე